

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
ადმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

**ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №9**

25 სექტემბერი, 2007 წელი

**სხდომის დაწყების დრო: 19:14 სთ.**

**სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:**

კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), რუსუდან პიტავა, დავით ასათიანი, როინ მიგრიაული, ზურაბ ტაბიძე, ზაზა ხატიაშვილი.

**სხდომის თავმჯდომარე:** კახაბერ ასლანიშვილი

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
2. ეთიკის კომისიის მიერ საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“, წესდებასა და „დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებაში შემუშავებული ცვლილებებისა და დამატებების პროექტის განხილვა ეთიკის კომისიის წევრების მონაწილეობით.
3. 2007 წლის საშემოდგომო ტესტირების თარიღის განსაზღვრა.
4. სხვა მიმდინარე საკითხები: ა)საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცება, ბ) ადვოკატთა დაბეგვრასთან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი და საგადასახადო შეღავათების დაწესებისთვის გასატარებელი ღონისძიებები.

ადმასრულებელი საბჭოს სხდომა გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ. 2006 წლის საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო წევრთა გარიცხვის შესახებ ადმასრულებელი საბჭოს წევრის, ბატონი ზაზა ხატიაშვილის მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა თუ კიდევ ერთხელ გაფრთხილებოდნენ ის წევრები, რომელთაც ერიცხებოდათ დავალიანება.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის, ეთიკის კოდექსისა და „დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების ცვლილებათა პროექტის განხილვა გადაიდო შემდეგ სხდომაზე განსახილველად.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრა ადვოკატთა ტესტირების თარიღი.

სასჯელსრულების დაწესებულებებში სპეციალური, საიდენტიფიკაციო აპარატის დამონტაჟების გამო ახალი, პლასტიკური მოწმობების დამზადება.

საკვალიფიკაციო კომისიის წევრობის სავარაუდო კანდიდატთა სია შეფასდა დადებითად.

**გ ა დ ა წ ყ დ ა :**

1. დამატებით ერთი გამაფრთხილებელი განცხადების გავრცელება პრესის საშუალებით იმ პირთა საყურადღებოდ, რომელთაც ერიცხებათ საწევრო დავალიანება. გარიცხვის საკითხი გადაწყდება შემდეგ სხდომაზე.

2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დადგინდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების თარიღი.

ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატთა ტესტირება გაგრძელდება ხუთი დღე, 2007 წლის 24 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში.

3. ასოციაციის მიერ პლასტიკური ბარათების დასამზადებელი აპარატის შექენა.

4. ა) საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცება შემდეგი შემადგენლობით:

კახაბერ ასლანიშვილი

დავით ასათიანი

ზურაბ ძლიერიშვილი

იური გაბისონია

მაკა სალხინაშვილი

ირაკლი დვალაძე

ავთანდილ დემეტრაშვილი

როინ მიგრიაული

კონსტანტინე კორკელია

ბ) გაზიარებულ იქნა ასოციაციის თავმჯდომარის პოზიცია საადვოკატო საქმიანობის ინდივიდუალურ რეჟიმში განმახორციელებელ ადვოკატთათვის 12%-იანი საშემოსავლო გადასახადის რეჟიმის მოთხოვნისა და 20%-იანი სოციალური გადასახადის გაუქმების შესახებ.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

კ. ასლანიშვილი (თავმჯდომარე), რ. პიტავა, დ. ასათიანი, რ. მიგრიაული, ზ. ტაბიძე, ზ. ხატიაშვილი.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისყრით.

კახაბერ ასლანიშვილი

თავმჯდომარე